გულიდან მომდინარე

მუსიკა

ISLAM COMMUNITY OF GEORGIA
ISLAMI GAERTIANEBA SAQARTVELOSHI
ISLAM COMMUNITY OF GEORGIA
IRSI
გამომცემლობა
ISLAMIC CONSTITUTIONAL COMMUNITY OF GEORGIA

بسم الله الرحمن الرحيم

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

დიანეთის საქმეთა
სამმართველოს გამომცემლობა

სახალხო წიგნები

თარგმნა
თამაზ მიქელაძემ

გრაფიკა და დიზაინი
ბილალ ილკაი

muslim georgia

საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდი
وقف تضامن حاولو مسلمو جورجيا
muslim georgia uluslararası yardımlaşma vakfı

www.muslimgeorgia.org
info@muslimgeorgia.org
muslim.georgia.18
muslim.georgia.54
georgiaquran
muslim_georgia
muslimgeorgiaquran
muslimgeorgia

გულიდან მოძღვიანთე

მუხაკი

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

სარჩევი

შუამავლის პერიოდის მუსიკა და თურქულ მუსიკაში შუამავალი	7
ოსმალურ ტრადიციაში რელიგიური მუსიკის შესახებ	21
მეჩეთიდან მომდინარე ხმა მისი კვალი და მოგონებები	28
მუსიკა სამყაროში არსებული სილამაზის ნაწილი	35
მუსიკა ცივილიზაციის მაჩვენებელია	46
კლასიკური თურქული მუსიკის ყველაზე გამორჩეული ნიმუშები რელიგიურ სფეროშია შექმნილი	49
ყოველი ეპოქის ლექსები განსხვავებული სილამაზის და ჰარმონიის მატარებელი იყო	55
ჩვენი რელიგიური მუსიკალური კულტურა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი მუსიკალური კულტურის ნაწილია	59

muslim georgia

muslim georgia
muslim georgia foundation
international charity

შუამავლის ჰერიოდის მუსიკა
და თურქულ მუსიკაში შუამავალი

Doç. Dr. Ahmet Hakkı Turabi

მუსიკის აღქმა აზროვნების შემდეგ ადამიანის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თვისებაა იმ თვისებათაგან, რომლებიც მას სხვა არსებებისგან განასხვავებს. ღმერთს უყვარს სილამაზე და მან ადამიანს ესტეთიკური სილამაზის აღქმის უნარი უბოძა. ისლამი ადამიანის ბუნებასთან შეხამებული რელიგიაა, ამიტომ ადამიანის არც ფიზიკურ და არც სულიერ მოთხოვნილებებს არ უარყოფს. გამომდინარე აქედან ისლამი ადამიანს უფლებას აძლევს დაიკმაყოფილოს ეს მოთხოვნა, მაგრამ აუცილებელია ღვთის მიერ დადგენილი კანონების გათვალისწინება. უფრო მეტიც, ისლამი გვირჩევს ეს ღვთიური წყალობა, როგორც ესტეთიკური უნარი, უფრო განვავითაროთ. ისლამი სრულიად ბუნებრივი რელიგიაა და მუსიკაც ასევე ბუნებრივია.

იბნ სინა მუსიკას შემდეგნაირად განმარტავს: „მუსიკა არის მათემატიკური მეცნი-

ერება, რომელიც ერთმანეთთან შეხამების ან შეუხამებლობის გზით მიღებული ხმების და ამ ხმებს შორის დატოვებული ინტერვალების ცოდნას შეისწავლის“. ამ განმარტებიდანაც ჩანს, რომ მუსიკას ორი ძირითადი შემადგენელი გააჩნია. ესენია: ხმა და რიტმი. ხმაც და რიტმიც ღმერთის შექმნილია და შესაბამისად მუსიკის სილამაზე იმით განისაზღვრება, თუ რაოდენ გვახსენებს ღმერთს. მევლანა ამბობდა „მუსიკა ღვთის მოყვარულთათვის სულის საზრდოა, რადგან მასში ღმერთთან შეხვედრის იმედია“. ცნობილი კომპოზიტორი ბეთჰოვენი ამბობდა: „მუსიკა ყველაზე მეტად გვაახლოებს ღმერთთან და ის ყველა ცოდნასა და ფილოსოფიაზე მაღლა დგას“.

რაც შეეხება ხმებს, ღმერთი ყურანში სიტუაციისდა მიხედვით უსიამოვნო ხმაზე საუბრობს. ასევე საუბარია შუამავალ დავუდზე მინიჭებულ სასწაულებრივად ლამაზ ხმაზე. ღმერთმა სულებს ასევე ჰარმონიული და ტკბილი ხმით ჰკითხა: „მე თქვენი გამჩენი არ ვარ?

„იარე მოზომილი ნაბიჯით, ხმა დაიმდაბლე! უეჭველად, ყველაზე უსიამოვნო ხმა ვირის ხმაა.“ (ლოყმან 19)

„და ვფიცავ, ჩვენ ვუბოძეთ დავუდს წყალობა ჩვენგან: მთებო და ჩიტებო! ადიდეთ

მასთან ერთად! და დავარბილეთ მისთვის რკინა!“ (სებე 10)

„აკი, შენმა ღმერთმა ადამის შვილთა წელიდან მათივე შთამომავლობა გამოიყვანა, და საკუთარი თავის წინააღმდეგ ამოწმებინა: „განა არა ვარ თქვენი ღმერთი მე?“ უთხრეს: „დიახ, ვაღიარეთ ჩვენ.“ უეჭველად, ჩვენ არ ვუწყოდით ამას, რომ არ ეთქვათ აღდგომის დღეს“. (არაფ 172)

ყველა ის ხმა და რიტმი ეს ხმებია, რომლებსაც მუსიკოსები ცდილობენ მიაგნონ. შუამავალიც მოგვიწოდებდა, რომ ყურანი ლამაზი ხმით გვეკითხა.

რაც შეეხება შუამავლის დროს, იმდროინდელი მუსიკა რელიგიური იდენტობის ქვეშ მოიაზრებოდა და ისლამისთვის დამახასიათებელ ისეთ ჰარმონიულ „ხმებს“ წარმოადგენდა, როგორიცაა ეზანი, თექბირები, ბაირამის დღეებში შესრულებული „ლოცვები“ და სხვა. გარდა ამისა, შუამავლის პერიოდში მუსიკას იყენებდნენ დღესასწაულებზე, ქორწილებში, მგზავრობის დროს, გაცილებისას, შეხვედრისას, ლაშქრობებში და ა.შ. 622 წელს შუამავალი მექადან მედინაში დაგასახლდა და ამ მოვლენამ ბევრ ყველაფერთან ერთად მუსიკის დარგშიც ახალი თვალსაწიერი შემოიტანა. შუამავლის მედინაში შესვლას ნეჯარის ხალხი დოლებისა

და დაფდაფების ცემით და ასევე ლექსებისა და სიმღერების თქმით შეხვდა. გოგონები და ბიჭები ცნობილ „ტალა ალ ბედრუ“-ს უმღეროდნენ შუამავალს. შუამავლის პერიოდში მუსიკალურ ფორმებს ცვლილებები არ განუცდია და ოდითგანვე გავრცელებული მუსიკის სტილი გრძელდებოდა.

არაბული მუსიკის მკვლევარი ფარმერი ჩელების გადმოცემებზე დაყრდნობით ჰზ. ალისა და ფატმას ქორწილს აღწერს და ამბობს, რომ ამ ქორწილში ამრ ბინ იმეიე და ჰამზა ბინ იეთიმი დაფდაფებს უკრავდნენ და მღეროდნენ. ასევე ცნობილია ვარაუდი, რომ ეს ჰამზა და ბილალი ჰაბეში შუამავლის წინაშე დაფდაფებით წარსდგნენ და დაუკრეს. ასევე საუბარია ვიღაც ინდოელზე, რომელიც ლაშქრობის დროს დაფდაფებზე უკრავდა და მღეროდა.

რაც შეეხება იმდროინდელ მუსიკალურ ინსტრუმენტებს, ესენი იყო ოდითგანვე ცნობილი დაფდაფები, დოლი, საყვირი, დუდუკი და სხვა.

აქ არის ერთი მთავარი მომენტი, რომ შუამავალს მუსიკა არ აუკრძალავს და მუსკის, როგორც ესტეთიკური დანამატის ფაქტორი შენარჩუნებული იყო, როგორც სადღესასწაულო რიტუალებში, ისე სხვა სოციალურ აქტივობებში.

თურქული რელიგიური მუსიკა

ოთხი დიდი ხალიფას დროს ისლამის გავრცელება სხვადასხვა ტერიტორიაზე დიდი სისწრაფით ხორციელდებოდა. ამან სხვადასხვა კულტურასთან გაცნობის საშუალებები შექმნა. ამ გაცნობის ბუნებრივი შედეგი იყო ის, რომ მოხდა კულტურათა ურთიერთგაცვლა და ამ მხრივ მუსიკალური ხელოვნებაც თავის წილს იღებდა. სხვადასხვა ქვეყნის ხალხმა სარწმუნოებასთან და სხვა ცხოვრებისეულ კულტურასთან ერთად მუსიკაც შეითვისა და გამოყენება დაიწყო.

თურქების მიერ ისლამის მიღებამ და საღვთო რიტუალებისადმი მათმა უსაზღვრო სიყვარულმა თურქულ რელიგიურ მუსიკაზე იმოქმედა. შეიქმნა რამოდენიმე მუსიკალური მიმდინარეობა, რომელთა შესახებაც ქვემოთ ვისაუბრებთ.

მევლუდი

მევლუდის ლექსიკონისეული მნიშვნელობა დაბადება, დაბადების ადგილი და დროა. ეს ტერმინი შუამავლის ამქვეყნად მოვლინების აღსანიშნავად გამოიყენება. შუამავლის დაბადების შესახებ დაახლოე-

ბით 200-მდე „მევლუდი“ არის დაწერილი, მაგრამ მათ შორის ყველაზე ცნობილი და საზოგადოებისთვის მისაღები სულეიმან ჩელების მიერ დაწერილი მევლუდია, რომელიც დღემდე ინარჩუნებს აქტუალურობას. სულეიმან ცელების ამ ნაწარმოებში თასავვუფის ზემოქმედებაც შეინიშნება და ასევე მუსტაფა დარირის „სიერი ნები“-ს გავლენაც იგრძნობა.

დღეისათვის არსებული ცნობების თანახმად მევლუდი სულეიმან ჩელებიმ და სინანედდინ იუსუფმა დაწერეს, მაგრამ არსებობს სხვა ვარაუდიც, რომლის თანახმადაც მევლუდი შეიქმნა მეჩვიდმეტე საუკუნეში ვინმე ბურსელი სექბანის მიერ. სამწუხაროდ მევლუდის თავდაპირველი ვარიანტი დღევანდელობამდე არ მოღწეულა და ხალხი მას თაობიდან თაობაზე ზეპირი გადმოცემით კითხულობდა.

სალათ

არაბული სალათ ქართულად ვედრებას ნიშნავს. ეს არის შუამავლის მიერ ღვთისადმი ვედრების გამომხატველი თანწყობილი ფრაზები. აღნიშნული ვედრება სხვადასხვაგვარია. არის დილის, ბაირამის, მიცვალებულის და სხვა.

შუამავლის დალოცვა მორწმუნეთა ვალია. საამისოდ მოწოდებები ყურანშია მოცემული.

ა. ბაირამისა და ჯუმის სელა

ბაირამის სელა ჯუმა დღეებშიც იკითხება, ამიტომ ამ სელას ბაირამისა და ჯუმის სელას ეძახიან. ის ხუთი სხვადასხვა ფრაზისგან შედგება და ზოგადად მუაზინები ასრულებენ.

ბ. ჯენაზე (მიცვალებულის) სელა

ჯენაზეს სელა ორი სახისაა. ამათგან პირველი ადამიანის გარდაცვალების ხალხზე შეტყობინების მიზნითაა შექმნილი და ხმამაღლა იკითხება. მეორე სელა კი მიცვალებულის სასაფლაოსკენ მიმავალ გზაზე და მისი დასაფლავების შემდეგ იკითხება. ჯანაზის ხალხზე შესატყობინებელი სელა მინარეთებიდან იკითხება და ის ჯუმის სელას მსგავსია. მიცვალებულის სელას ბოლოს გარკვეულ აიათებსაც კითხულობენ და ის ამითაც განსხვავდება ჯუმის სელასაგან. სელას შემდეგ მუეზინი აცხადებს მიცვალებულის ვინაობა, გასვენების დროსა და ადგილს. ეს წედი პირველად ეგვიპტეში, ფატიმების მმართველობის დროს იქნა შემოღებული.

მიცვალებულის ნამაზის შემდეგ საკითხავი სელა ექვსი ნაწილისგან შედგება და როგორც წესი იმამთან ერთად მლოცველებიც ასრულებენ. ეს სელა მიცვალებულის აწევიდან საფლავში მიტანამდე იკითხება. სელას პროცესიის წინ მიმავალი კარგი ხმის მქონე პიროვნება ასრულებს. სელა ასევე გრძელდება მიცვალებულის საფლავში ჩასვენების დროსაც. საფლავში ჩასვენების შემდეგ, როცა მისი დამარხვა იწყება, ამიტომ სელას კითხვა ჩერდება.

გ. სალათი უმმიე

ზოგი თვლის რომ ეს ნაწარმოები ითრის ეკუთვნის, ხოლო ზოგის აზრით ზაქირ ჰასან ეფენდის დაწერილია. ამბობენ რომ დამკვიდრებულია ერაყში ან სეგაჰიდან მოდის, მაგრამ ხალხში გავრცელებული ფორმა უფრო ეს უკანასკნელია.

მირაჯიე

შუამავლის მირაჯის სასწაული ყოველ წელს რეჯების მთვარის 27-ე ღამეს აღინიშნება. ეს დღე ყველა მუსლიმურ მიმდინარეობაში კარგადაა ცნობილი და სხვადასხვა ფორმით გამოიხატება. ამ დღის აღნიშვნაში ჩართლია სხვადასხვა სფეროები; ლიტერატურა, მუსიკა, პოეზია და სხვა.

მეჰმედ ნასუჰი ეფენდიმ ცნობილ პოეტს ოსმან დედეს სთხოვა ამ დღის საპატივცემულოთ დაეწერა „მირაჯიე“ და მანაც ეს თხოვნა შეასრულა. აღნიშნული მირაჯიე ოსმალეთის მთელ ტერიტორიაზე დიდი პოპულარობით სარგებლობდა და ამ დღეს სხვადასხვა მეჩეთებში კითხულობდნენ. ამ მეჩეთებიდან გამორჩეული იყო უსკუდარში მეჰმედ ნასუჰის სახელობის მეჩეთი, ასევე უსკუდარში აზიზ მაჰმუდ ჰუდაის მეჩეთი, ქოჯამუსტაფაფაშაში სუნბულ ეფენდის მეჩეთი და ბურსაში მდებარე მაჰქემეს მეჩეთი. უკანასკნელ წლებში მირაჯიეს შაქირ ეფენდი და მისი მოსწავლეები ასრულებდნენ, ხოლო შემდეგ როცა ის გარდაიცვალა ეს ტრადიცია აღარ გაგრძელებულა.

მირაჯიე მირაჯის ღამის წინა ღამეს, მირაჯის ღამეს და შემდგომ ღამეს ანუ სამი ღამის განმავლობაში იკითხებოდა. ეს ტრადიცია განსაკუთრებით პოპულარული იყო ზემოთ ჩამოთვლილ მეჩეთებში და მათთან არსებულ სასულიერო დაწესებულებებში. ასევე ამ ღამეს მორწმუნეებს რძით უმასპინძლდებოდნენ.

თევშიჰი

თევშიჰი, როგორც თურქული რელიგიური მუსიკის ფორმა შუამავლის დაბადებას

ეძღვნება და ძირითადად ქების შინაარსი აქვს. ის როგორც წესი მევლუდსა და მირაჯიეს შორის იკითხებოდა. მისი ლექსიკონისეული მნიშვნელობა „შემკობაა“. თევშირის რეპერტუარი ძირითადად თასავვუფის მიმდევარი პოეტების ლექსებიდან იყო შექმნილი. უმეტესწილად თურქული ლექსები გამოიყენებოდა, მაგრამ ამასთანავე იყო არაბული და სპარსული ლექსებიც.

შუამავლის დაბადების ან მირაჯის მოვლენის შესახებ ბევრი პოეტი წერდა და ისინი როგორც წესი ამ მოვლენების არწერისას ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ.

ნაათი

ნაათიც თურქულ რელიგიურ ხელოვნებაში მნიშვნელოვანი შემადგენელია. ნაათი ქებას ნიშნავს და როგორც წესი ამ ტიპის ლექსებში შუამავლისადმი ქება-დიდება, მისი განსაკუთრებული თვისებების აღწერა და მისი შევედრებაა. ნაათებიც, ისევე როგორც თებშიჰები, ძირითადად თურქულ ენაზე იყო, მაგრამ ასევე იყო არაბული და სპარსული ვარიანტებიც.

ნაათებს ჯუმის ნამაზის წინ, როცა ყურანის კითხვას მორჩებოდნენ იმის შემდეგ

კითხულობდნენ. ნაათების კითხვისას რაიმე კონკრეტული რიტმის დაცვა აუცილებელი არ იყო და როგორც წესი, დინჯად და მონოტორულად ასრულებდნენ.

თურქულ-რელიგიურ პოეზიაში ნაათებს შუამავლის გარდა სხვა დიდ პიროვნებებსაც უძღვნიდნენ ხოლმე. ასეთი იყო მაგალითად მევლანას შესახებ დაწერილი ნაათი.

ილაჰი

ილაჰი ლექსიკონისეული მნიშვნელობის მიხედვით „ღვთიურს“ ნიშნავს. ამ ჟანრის მიხედვით დაწერილი ტექსტები უპირველეს ყოვლისა ღვთის სადიდებელია. ამასთანავე ისინი აღწერენ შუამავლისადმი სიყვარულს და სხვა რელიგიურ სიწმინდეებს. თურქულ ლიტერატურაში კონკრეტული მიმართულებების გამოკვეთამდე ყველა რელიგიური ხასიათის ლექსსა თუ ხოტბას ილაჰი ერქვა. საბოლოოდ ის მაინც რელიგიური ხასიათის ლექსია, რომელსაც შესაბამის ტონალობაში მღერიან. ილაჰი ძალიან ჰგავს არარელიგირ თურქულ მუსიკას, მაგრამ სიტყვების შინაარსითა და მელოდიით განსხვავდება.

ილაჰი ორ ჯგუფად იყოფა. მათგან პირველ კატეგორიას მეჩეთებში ასრულებენ, ხოლო მეორეს რელიგიურ ორგანიზაციებში. მეჩეთებში შესრულებული ილაჰები ძირითადად მდორე ხასიათისაა, მაგრამ სხვაგან შესრულებული უფრო დინამიური და ჩქარია.

თურქული რელიგიური მუსიკისა და მისი ფორმების ძირითადი განმსაზღვრელი ჰიჯრის კალენდარი და ჰიჯრის თვეებია. ამ თვეებში განხორციელებული მნიშვნელოვანი მოვლენები ილაჰის შექმნის თემას და მიზეზებს განსაზღვრავდა. კონკრეტული თვის ან მოვლენის საპატივცემულოდ დაწერილ ილაჰებს შესაბამის სახელებს არქმევდნენ. მაგალითად შუამავლის დაბადების შესახებ დაწერილ ილაჰებს „რებიულ ევველის“ ილაჰები ეწოდებოდა. მუჰარრემის თვეში ქარბელას მოვლენის შესახებ შექმნილი ილაჰები იკითხებოდა, ხოლო რეჯების თვეში მირაჯის მოვლენის გამო ამ სასწაულის შესახებ დაწერილ ილაჰებს კითხულობდნენ. შევვალის, სილ ჰიჯეესა და ზილ ყადდეს თვეებში ჰაჯის, როგორც ღვთისმსახურების და დიდი მნიშვნელობის მატარებელი მოვლენის შესახებ დაწერილ ილაჰებს კითხულობდნენ.

ილაჰებით აღბიშნავდნენ მიმდინარე ცხოვრებისეულ მონლენებსაც, როგორიცაა

დაბადება, სუნნეთი, ქორწილი, ჯარში გაცილება და ასხვა.

მუჰამმედიე

ამ სფეროში მევლუდის შემდეგ ყველაზე პოპულარული ნაწარმოები მეჰმედ იაზიჯიოღლის „მუჰამმედიე“-ა. აღნიშნული ნაწარმოები მეთხუთმეტე საუკუნეშია შექმნილი. მეჩვიდმეტე საუკუნიდან ზოგიერთმა ხელოვანმა მუჰამმედიე მევლუდის მსგავსად მუსიკალურობასთან შესაბამისობაში მოიყვანა და დაიწყეს მისი შესრულება. აღნიშნულმა ნაწარმოებმა ხალხში მალე მოიპოვა პოპულარობა.

ქასიდე

ქასიდე ერთგვარი ლექსია, რომელიც პიროვნების ქება-დიდებას გადმოსცემს. ამ ტიპის ლექსებს რელიგიურ და სახელმწიფო ლიდერებს უძღვნიდნენ. ქასიდებს, რომლებიც ღვთის არსებობისა და ერთადერთობის შესახებ იყო დაწერილი „თევჰიდ“-ი ეწოდებოდა, ხოლო ღვთისადმი ვედრების შემცველ ქასიდებს- „მუნაჯათ“-ი. შუამავლისა და სხვა რელიგიური სწავლულების

შესახებ დაწერილ ქასიდებს „ნაათ-ი ერქ-ვა.

თურქულ რელიგიურ მუსიკაში ღვთისა და შუამავლის ქება-დიდების გამომხატველი ლექსები მათდამი პატივისცემის ნიშნად იქმნებოდა. ქასიდებს ძირითადად ერთი პიროვნება ასრულებდა. მეჩეთებშიც და სხვაგანაც ყველაზე მოთხოვნადი ლექსები შუამავლის შესახებ დაწერილი ქასიდებია.

შუღლ

ლექსიკონისეული მნიშნელობით საქმეს ნიშნავს. რაც შეეხება მუსიკალურ ხელოვნებაში მის ადგილს, ეს არის არაბულად გარითმული სტროფების თურქულ-რელიგიური სტილით შექმნილი სიმღერები, რომლებიც როგორც წესი მოქნილი და სწრაფი რიტმით გამოირჩევა. შუღლს ხშირად მაშინ კითხულობდნენ, როცა თურქული ნელი ილაჰების კითხვის შემდეგ მდორე განწყობის შეცვლა სურდათ. შუღლის სიტყვები არაბული იყო, ამიტომ მიიჩნეოდა, რომ დევრიშები ასე უფრო იოლად ახერხებდნენ შუამავალთან დაახლოებას. ამ ტიპის ლექსების უმეტესობა შუამავლის შესახებ იყო.

ოსმალეთი ცოდიციაში რელიგიური მუსიკის შესახებ

ბულენთ აქსოი

ისლამის საღვთო ხელოვნებაში მუსიკის როლი ფართომასშტაბიან ანალიზს საჭიროებს. ისლამში მუსიკის ადგილი რამოდენიმე აბზაციან კვლევაში ვერ ჩაეტევა. ამ საკითხის შესახებ კლასიკურ წყაროებში არსებული შეხედულებები ურთიერთგამომრიცხავია. ზოგადად მუსიკის ადგილი რელიგიაში და მუსიკაზე მოსმენის შესახებ გადაწყვეტილებები ორჭოფობას იწვევდა.

ოსმალეთში მუსიკა სამი ძირითადი მიმართულებით ვლინდებოდა: ესენი იყო სასახლის მუსიკა, რომელსაც წარჩინებული მსმენელი ჰყავდა. ასევე იყო სხვადასხვა რელიგიურ ორგანიზაციებში მისაღები მუსიკა და მესამე კი- მუსიკალური მეჯლისები, რომელსაც ასევე ოსმალური სამყაროს წარჩინებულები უსმენდნენ. ამათგან თექქეს, ანუ რელიგიური დაჯგუფებების მუსიკა საზოგადოების ფართო მასებში იყო გავრცელებული.

ამგვარი თექქეები არამარტო დედაქალაქ სტამბოლში, არამედ ოსმალეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე, ანუ სამ კონტინენტზე იყო გავრცელებული. არამარტო დიდ ქალაქებში, არამედ პატარა ქალაქებსა და რაიონებშიც კი რამოდენიმე თექქე არსებობდა.

პროფესორ სუჰეილ უნვერის კვლევის თანახმად მეთექვსმეტე საუკუნიდან 1925 წლამდე, როცა უკვე ყველა თექქე დაიხურა, ასზე მეტი თექქეს არსებობა დაფიქსირდა. ამასთანავე არსებობდა ბევრი ადგილი, რომლებიც უნვერის ჩამონათვალში არ მოხვედრილა. ამ თექქებთან არსებულ სპეციალურ ადგილებში საღვთო სადიდებლებს მუსიკის თანხლებით ასრულებდნენ. საბოლოო ჯამში უნდა ითქვას, რომ ოსმალური მუსიკის ტრადიციის თაობიდან თაობაზე გადაცემის საქმეში ამ თექქეებმა დიდი როლი ითამაშა.

ღვთის სადიდებლების წარმოთქმისას თითქმის ყველა თექქეში მუსიკას იყენებდნენ. ოსმალური მუსიკის ძირითადი შემადგენელი რელიგიური ხასიათისაა და არცერთი სხვა სახელმწიფოს მუსიკალურ ხელოვნებაში მსგავსი დოზისა და სიმდიდრის რელიგიური გავლენები არ არსებობს.

მუსიკოსები როგორც წესი თექქეებში იკრიბებოდნენ. ქალაქში მცხოვრები მუსიკის მოყვარულები ამ თექქეებშ იკრიბებოდნენ, უსმენდნენ და მსჯელობდნენ. აქ ასევე მოდიოდნენ ახალგაზრდა მუსიკოსები, რომლებიც უკვე სახელგანთქმულ მუსიკოსებს ხვდებოდნენ და მათგან სწავლობდნენ. გარდა მუსლიმებისა ამ თექქეებში არამუსლიმებიც მოდიოდნენ და მუსიკას უსმენდნენ. ოსმალეთის იმპერიაში ისეთი მუსიკოსი წარმოუდგენელია, რომელიც თექქეში არ ყოფილა. ოსმალეთში მუსიკოსთა უმრავლესობა არა სასახლიდან, არამედ ამ თექქეებიდან მოდიოდა.

მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში ისტამბულსა და იზმირში მცხოვრები ანტოინე მურათი წერს:

გარკვეულ დღეებში მუსკის მოყვარულები და მუსიკოსები „მევლევიჰანეში“ იკრიბებოდნენ. ეს დღეები როგორც წესი მუსიკალურ კრებებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ახალ სიმღერებს კრიტიკის თვალით უყურებდნენ, იძლეოდნენ შენიშვნებს, ან მოიწონებდნენ და აქებდნენ. ასევე უსმენდნენ ძველ ნიმუშებს, არჩევდნენ და ახალ აზრებს წარმოთქვამდნენ.

ეს კონცერტები ერთგვარი კონკურსები იყო. ეს ადგილები არამარტო რელიგიური

ცენტრები იყო, ამავდროულად მუსიკალური საზოგადოების სტატუსიც ჰქონდათ. ვერცერთი მუსკოსი ამ ორგანიზაციაში მისვლისა და იქაური გამოცდის გავლის გარეშე ცნობილი ვერ გახდებოდა.

როგორც ჩანს ოსმალეთის იმპერიაში რელიგიური და არარელიგიური მუსიკა ერთიმაორისგან მკვეთრად გამიჯნული არ იყო. სტამბოლის თითქმის ყველა თექქეში ღვთის სადიდებელი მუსიკის თანხლებით მიმდინარეობდა. მუსიკის შესწავლის მსურველები რელიგიურ და არარელიგიურ მუსიკას ერთად სწავლობდნენ. ამასთანავე კომპოზიტორებიც კი, რომლებიც მუსიკას ქმნიდნენ ორივე მიმდინარეობის მუსიკის შემთხვევაში უმეტესწილად ერთი და იგივე პიროვნებები იყვნენ. მხოლოდ რელიგიური ნაწარმოებების ავტორები ძალიან ცოტანი იყვნენ. მაგალითად ოსმალური მუსიკის ტრადიციის ფუძემდებლებიდან ჰაფიზ ფოსტი, რომელიც მეჩვიდმეტე საუკუნეში მოღვაწეობდა, ქმნიდა როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ მუსიკას. ალი შირუ განიც, რომელმაც ყველაზე მეტი მუსიკა შექმნა, ორივე სახის მუსიკას ქმნიდა.

1925 წელს თექქეების დახურვის შემდეგ მუსიკის ამ ორ მიმდინარეობას შორის ახლო კავშირი გაწყდა. რელიგიური და

არარელიგიური მუსიკა პირველად გაიყო. შესაბამისად ახალი მუსიკოსები ამ ახალ რეალობაში დაიბადნენ და აღიზარდნენ. დღეს, გარდა გარკვეული გამონაკლისებისა, რომლებმაც რელიგიური მუსიკა საკუთარი სურვილითა და შრომის შედეგად შეისწავლეს, ამ ორივე მიამრთულების მცოდნე მუსიკოსი აღარ არსებობს. ამ ტრადიციის უკანასკნელი გამგრძელებლები იყვნენ საადეთთინ კაინაკი და საადეთთინ ჰეფერი, რომელთაგან პირველი 1961 , ხოლო მეორე 1980 წელს გარდაიცვალნენ. რაც შეეხება ქანი ქარაჯას, ის 2004 წელს გარდაიცვალა, რომელიც ამ სფეროში უკანასკნელი იყო.

1952 წელს ქონიაში გაიმართა მევლანას ხსენების კვირა, სადაც ფართო მასების წინაშე რელიგიური მუსიკა პირველად გაჟღერდა. ამ ამბიდან რამოდენიმე წლის შემდეგ მეჩეთში მიმდინარე მევლუდის რადიოთი გადაცემები დაიწყეს. ამ დრომდე რადიოთი რელიგიური მუსიკის გაშვება იკრძალებოდა.

სტამბოლის მერიის კოსერვატორიაში, რომელსაც ნურეთთინ სელჩუკი ხელმძღვანელობდა, მევლანას ხსენების კვირაში და რამადანის თვეში დრო და დრო რელიგიურ მუსიკასაც წარმოადგენდნენ ხოლმე. 1976 წელს შეიქმნა სახელმწიფო

ორკესტრი, რომელმაც ეს ტრადიცია დღევანდელობამდე მოიტანა. 1980 წლიდან რელიგიური მუსიკა უკვე ხშრად ისმოდა და სხვადასხვა შეკრებებზე სტუმრები ილაჰებს უსმენდნენ. ტარდებოდა კონცერტები, სადაც მხოლოდ რელიგიური ნაწარმოებები იყო წარმოდგენილი. ამავდროულად სტამბოლსა და ანკარაში სახელმწიფო რადიოში შეიქმნა რელიგიური მუსიკის ორკესტრები.

გაჩნდა ტერმინი „თასავვუფის მუსიკა“, რომელიც მისი წინამორბედის „თექქეს მუსიკის“ გაგრძელება იყო. მაგალითად რელიგიური მუსიკის ყველაზე ფართომასშტაბიანი კვლევის ავტორი სადეთთინ ნუზჰეთ ერგუნი თავის კვლევაში თექქეს მუსიკას იყენებდა. ამრიგად რელიგიური მუსიკა უკვე სატელევიზიო და რადიო პროგრამებში ფართოდ გავრცელდა.

დღისათვის რელიგიური მუსიკის სფეროში მომუშავე ადამიანებს კონკრეტული მოვალეობა გააჩნიათ. ჩემი აზრით დღეს ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებმა უპირველეს ყოვლისა ამ ჟანრის მუსიკის ოსმალეთის დროინდელი ნამდვილი სული უნდა წამოწიონ. არსებობს მრავალი მაშინდელი ნაწარმოები, რომლებიც დავიწყებულია და არავინ კითხულობს. მუსიკის მკვლევარებსაც თავიანთი მოვალეობა

გააჩნიათ. მათ ის მიმართულებები უნდა გამოიკვლიონ, რომლებიც აქამდე კვლევის საგანი არ გამხდარა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia
muslim
georgia
international charity

მეჩეთიდან მომდინარე ხმა მისი ყოფილი და მოგონებები

ქამილ ბუიუქერ

ჩვენი მუსიკის არსი

თურქული მუსიკის ეღერადობა და სტილი რელიგიური მუსიკისგანაა აღებული. სამყაროში არსებული ხმები ღვთიური ჰარმონიის გამოვლინებაა. ადამიანის დაბადებიდანვე ეს ჰარმონიული მუსიკა ეზნით იწყება და ცხოვრების მანძილზე მუდმივად ესმის. სიკვდილის დროსაც იგივე ხმა ჩაესმის ადამიანს. შუამავალი მოგვიწოდებდა, ყურანი ლამაზი ხმით გვეკითხა. არსებობს ამ ჰადისის შებრუნებული ვარიანტიც: „ხმა ყურანით გაილამაზეთ“. ამრიგად ხმის სილამაზე, და ზოგადად ეს მუსიკის სილამაზე ღვთისადმი მინდობისა და რწმენის გამოხატულების საშუალებაა. კარგი, რა ადგილი ეკავა რელიგიურ მუსიკას გუშინ, რა რა მდგომარეობაშია ახლა?

ისტორიის სხვადასხვა მომენტებში რელიგიური მუსიკა მეჩეთებსა და თექქეებში განსაკუთრებული წესების დაცვით იქმნებოდა და თავისი განვითარების მწვერვალს მიაღწია. მრავალი ადგილი და მნიშვნელოვანი საზოგადოება ამის მოწმე გამხდარა. მრავალი მნიშვნელოვანი პიროვნება აღზრდილა და კიდევ აღიზრდება. ოსმალეთის იმპერიის დროს ასეთ ადგილებში მრავალი იმამი, მუაზინი, მევლუდის, ილაჰისა თუ სხვა ნიმუშების შემსრულებელი აღიზარდა. რელიგიური მუსიკის არარელიგიურთან მჭირდო კავშირი თავისებურად დადებით ტენდენციას ქმნიდა. დიდი ჰაფიზები, რომლებიც ყურანს განსაკუთრებული ხმოვანებით კითხულობდნენ, ასევე მღეროდნენ კიდეც.

ჰაფიზ იაშარი. 1932. ერთი სცენა რამადანიდან

1932 წელს რამადანის თვის 26-ე ღამეს მევლუდი შესრულდა. ჰაფიზი იაშარი მოგვითხრობს:

„საღამოს ნამაზის შემდეგ კარები დაიკეტა. მეჩეთის შიგნით და შესასვლელში იშვიათი ხალხმრავლობა იყო. თერავიჰ ნა-

მაზ ჰაჯი ფაიყ ეფენდი წარუძღვა. ნამაზის მიმდინარეობისას ილაჰი და აინი ვიკითხეთ. მეჩეთის ყველა მხარეს დინამიკები იყო დადგმული. ეს რელიგიური რიტუალი პირველად გადაეცემოდა მთელ მსოფლიოს რადიოს საშუალებით. ჯერი მევლუდის კითხვაზე მიდგა. ოცი ჰაფიზი ერთად დაჯდა და მევლუდი წაიკითხა, რომელიც მართლაც საოცარი იყო. ტალღებად წასული ეს საოცარი ხმები აია სოფიადან მთელ მსოფლიოში იღვრებოდა. ხალხი თითქოს მოინუსხა, ისეთი სასიამოვნო ატმოსფერო იყო. მევლუდის სტროფებს შორის საკითხავი ვედრება, რომელსაც ხალხი ერთად ასრულებდა, საოცარ ეფექტს იწვევდა და ადამიანს ისე ამსუბუქებდა, თითქოს ფრთები შეესხაო. ამ ყველაფერს ათათურქიც რადიოთი ისმენდა. მერე დღეს დამიბარა და ასე მითხრა: ლოცვას და სხვა რიტუალებს რედიოდან ვისმენდი, ძალიან კმაყოფილი ვარ. შენს მეგობრებს და ჰაფიზებს ხვალ საღამოსთვის სასახლეში იფთარზე ვეპატიჟები. გთხოვთ ყველას შეატყობინოთ.

მისი ასეთი შეფასება ჩემს ცხოვრებაში დიდი მნიშვნელობის მატარებელია. მეორე დღეს ჰაფიზები სასახლეში მოვიდნენ. ზედა სართულში იფთრის საოცარი სუფრა იყო გაშლილი. ათათურქმაც ჩვენთან ერთად ივახშმა. ვახშმის შემდეგ ჰაფიზებმა

სათითაოდ იკთხეს ყურანი. ყველამ შექება დაიმსახურა. სასახლიდან წასვლისას ჰაფიზები ცალკე განყოფილებაში გაიყვანეს და თითოს ორას-ორასი ლირა აჩუქეს. შემდეგ ისევ ათათურქის ბრძანებით ჰაფიზები ავტომობილებით სახლებამდე მიაცილეს“.

ვასფი რიზა ზობუ იხსენებს, რომ „ათათურქს სასახლეში სამი ჰაფიზი ჰყავდა; ჰაფიზი იაშარი,ჰაფიზი ჰუსეინი და ჰაფიზი მეჰმედი. მე ის ჰაფიზები მასთან, ჩანქაიას სასახლეში გავიცანი. კითხვას პატივისცემით ისმენდა“.

მსოფლიოში ცნობილი იმამი ჰაფიზი საადეთთინ ქაინაქი

სულთან ახმედის მეჩეთის იმამი საადეთთინ ქაინაქი ერთ-ერთი ცნობილი ხელოვანი იყო, რომელმაც თავისი მოღვაწეობის პერიოდში ხელოვნებაზე დიდი გავლენა მოახდინა. ჰაფიზი სამი მის შესახებ ამბობდა: „ყურანის კითხვის საქმეში პირველებს შორის იყო. მისი ტკბილი, რბილი და მდიდარი ხმა ყველაფერზე მეტად ყურანისთვის იყო გაჩენილი“. ჰაფიზი საადეთთინ ქაინაქი ზოგჯერ იმამის ფორმას იხდიდა და ბერლინში მუსიკის მოყვარუ-

ლებისათვის კონცერტს ატარებდა. იგივე ხდებოდა პარიზშიც. 1930-ან წლებში ათათურქის თხოვნით უმაღლესი საფეხურის სამხედრო მოსამსახურეებისთვის „ილაჰიათის“ (ღვთისმეტყველება) კონფერენცია გამართა.

„ქანი, ეს სად წავიკითხეთ?“

ქანი ქარაჯა, რომელიც სულ ახლახანს (1930-2004) დავკარგეთ, სტამბოლის ყველაზე რჩეული ჰაფიზთაგანი იყო. დაბადებიდანვე ამ უნარით იყო გამორჩეული და კითხვის ხელოვნებას 50-ზე მეტი წლის განმავლობაში მისდევდა. მევლუდს, ეზანს, ქასიდეებს უზადოდ ასრულებდა და ასევე დიდი წარმატებები ჰქონდა ყურანის კითხვაშიც.

ვინც მას იცნობდა ამბობდნენ, რომ ქანი ქარაჯა თვალებით ვერ ხედავდა, მაგრამ მისი გულის ხედვა განსხვავებული იყო. მასთან საუბარი ერთი სიამოვნება იყოო. სხვა უნარებთან ერთად მიბაძვის საოცარი უნარი გააჩნდა. ერთხელ უსკუდარელი ალი ეფენდის მიბაძა და მისი ხმით ყურანი წაიკითხა, მაგნიტოფონში ჩაწერა და მოასმენინა. ალი ეფენდიმ რომ მოისმინა ეგონა თავად კითხულობდა, თუმცა ვერ

გაიხსენა სად წაიკითხა და ქანის ჰკითხა: „ქანი, ეს სად წავიკითხეთ?“

ბექირ სითქი სეზგინი

ადამიანი, რომელიც სამწლინახევრისა ჰაფიზობის ხელოვნებას დაეუფლა.

ბექირ სითქი სეზგინი ერთ-ერთი იმ ოჯახში აღიზარდა, სადაც რელიგიური კულტურას და მუსიკას დიდი ყურადღება ექცეოდა. მამამისს ჰაფიზ ჰუსეინ ეფენდის ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა. ბექირს ჯერ მამა ასწავლიდა, მერე ჰაფიზი ჰასან აქ-ქუში, ხოლო მისი მასწავლებლები იყვნენ ფათიჰის მეჩეთის იმამი აჰმედ რასიმ ეფენ-დი, ჰაფიზ საადეთთინ ეფენდი და სხვები. ამ უკანასკნელთაგან რელიგიური მუსიკა შეისწავლა და თავადაც ამ ხელოვნებით დაკავდა. 1946-48 წლებში იზმირშ მცხოვ-რებს დეიდასთან ცხოვრობდა და იქ ჰისა-რის მეჩეთში სიტყვის ოსტატი და პოეტი იმამ-ჰათიბი რაქიმ ელქუთლუ გაიცნო და მისი ნაწარმოებები პირადად მისგან შეის-წავლა. ჯერ კიდევ სრულიად პატარა იყო, სულ რაღაც 3-4 წლისა, როცა მამასთან ერთად ქუჩაში სეირნობდა. სამწლინახევ-რის ბექირმა ყურანის ზეპირად შესწავ-ლა დაიწყო და ხუთი წლისამ დაასრუ-

ლა. სკოლაში სწავლისას მუსიკის კერძო გაკვეთილებზე დადიოდა და რელიგიური მუსიკის ყველა მიმართულება შეისწავლა. ამის შემდეგ მამამ მისი ცოდნა საკმარისად არ ჩათვალა და სტამბოლის ყველაზე ცნობილ ხელოვანებს მიუყვანა. მამის ინიციატივით კონსერვატორიის გამოცდა ჩააბარა. კონსერვატორიაში სწავლისას უმეტესწილად რელიგიურ ნაწარმოებებს ეცნობოდა და ზედმიწევნით სწავლობდა. საბოლოო ჯამში კი გამორჩეულ პროფესიონალად ჩამოყალიბდა.

უსკუდარი, ყურანის კითხვაში განსაკუთრებული ადგილი

პროფესორი აჰმედ იუქსელ ოზემრე უსკუდარზე შეყვარებული ადამიანი იყო. ის უსკუდარელი ჰაფიზების განსაკუთრებულ სტილზე საუბრობდა და ყურანის კითხვის მანრებს შემდეგნაირად აღწერდა: „1. აქ მუსიკალურობას განსაკუთრებული ყურადღება ენიჭება და გაკვეთილებიც ამის გათვალისწინებით ტარდება; 2. ასევე გასათვალისწინებელია რომელი სურა რა ტონალობაშია საკითხავი და მესამე კონკრეტული სურას კითხვისას აიათებს შორის ტონალობის შერჩევასაც ასწავლიან.

მუსიკა სამყაროში აოსებული სილამაზის ნაწილი

სულეიმან ულუდაღ

რელიგიაში მუსიკის, ხოლო მუსიკაში რელიგიის ადგილი

სმენისთვის სასიამოვნო, ადამიანში ესტეთიკური სიამოვნების გამომწვევი, ზომიერი და გაწონასწორებული, ჰარმონიული ყველა ხმა მუსიკად ითვლება. გამომდინარე აქედან ამ თვისების მატარებელი ყველა ხმა, დუდუკის ხმიდან დაწყებული ნებისმიერი სხვა გარკვეული წესრიგისა და ჰარმონიის შემცველი ხმა მუსიკაა. მუსიკალური ინსტრუმენტის გარეშე, ადამიანის მიერ გამოცემული სასიამოვნო ხმაც მუსიკაა. ბულბულის ხმაც ბუნებაში არსებული მუსიკის მაგალითია.

დიად ღმერთს ადამიანზე ხუთი გრძნობა აქვს მიცემული. თვალი ხედავს, ცხვირი სუნს გრძნობს, ენა გემოს გრძნობს, კანი რბილ და ფაქიზ ზემოქმედებისგან სიამოვნებას ღებულობს და ა.შ. თუ ადამიანი ამ

ყველაფერს ღვთით დადგენილი ალალი გზებით გამოიყენებს, ყველა ეს გრძნობა მისთვის ღვთიური წყალობაა და შეუძლია გამოიყენოს. ღმერთმა ეს ყველაფერი ადამიანისთვის გააჩინა. ამ წყალობის სამაგიეროდ ღმერთი მადლიერებას მოითხოვს. ღვთის მიერ დადგენილი წესისამებრ ცხოვრების შემთხვევაში ღმერთი ადამიანს საიქიოში ყველაფერს უკეთესს ჰპირდება. ღვთის სიტყვის მოსმენა, რელიგიური სწავლების გაგონება, თუნდაც ლამაზი ლექსისა თუ სიტყვის მოსმენა ის წყალობაა, რომელსაც ადამიანი სმენის საშუალებით აღიქვამს. ნებადართული მუსიკა, რომელიც ღვთის კანონებს არ ეწინააღმდეგება იგივენაირად წყალობაა, რომელსაც ადამიანი სმენით აღიქვამს და სიამოვნებას ღებულობს. მუსიკა ბუნებრივი და ადამიანური რამაა, ამიტომ ის ყველა ადამიანისთვის საჭირო და სასარგებლოა. თუმცა ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილება ადამიანებში სხვადასხვანაირად ვლინდება. ზოგისთვის მუსიკა ძალიან მნიშვნელოვანია, ხოლო ზოგი ადამიანი მის საჭიროებას დიდად არ გრძნობს. შეიძლება ისეთებიც არსებობდნენ, რომლებსაც მუსიკა საერთოდ არ აინტერესებთ. ეს ხასიათის და უნარის საკითხია. ზოგადად მოთხოვნილება სამი სახისაა: ძირითადი ანუ აუცილებელი მოთხოვნილებები, ზოგადი მოთხოვნილებები და ესტეთიკური მოთხოვნილებე-

ბი. ხელოვნება და მუსიკა ამ უკანასკნელ სფეროს მიაკუთვნება. საზოგადოებისთვის შეიძლება ის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენდეს, მაგრამ პიროვნებისთვის შეიძლება ეს ასე არ იყოს.

ღმერთმა სამყარო და ყველაფერი, ცოცხალი და არაცოხალი ბუნება საუკეთეოს ფორმით გააჩინა და სილამაზეც მიანიჭა. ღმერთმა ცა მორთო ვარსკვლავებით და ადამიანთა გულები რწმენით. სამყაროში არსებული ფერებიც ამ სილამაზის გამოვლინებაა. მუსიკაც ხმასთან დაკავშირებული სილამაზეა და ის, თავის მხრივ სამყაროს შემკულობის ერთ-ერთი ელემენტია.

რაც შეეხება მუსიკაში რელიგიის ადგილის შესახებ...

რელიგიისა და მუსიკის ურთიერთობა კაცობრიობის ისტორიის ხნისაა. ადამიანები თავიანთ რწმენებს მუსიკით, სიმღერით, ხოტბით გამოხატავდნენ და შესაბამისად მუსიკა ამ ყველაფერის კვალდაკვალ ვითარდებოდა. ცნობილია, რომ შუამავალი დავუდი ღვთიურ სადიდებლებს ლამაზი ხმით ასრულებდა. ასევე ცნობილია ქრისტიანული გალობები და მუსიკაში ამ რელიგიის როლი. რელიგია ყოველთვის მუსიკის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი თემა გახლდათ. რელიგიის ფაქტორის გარეშე მუსიკის ისტორია სწორად არ განიმარტება.

რელიგიურად არის თუ არა მისაღები მუსიკა? კამათი ამ თემის შესახებ და მიზეზები.

მარტო მუსიკა კი არა ლექსები და მხატვრობაც კი ხშირად კამათის საგანი გამხდარა. ანუ საკამათო იყო მისაღები არიან თუ არა რელიგიურად. ამის მიზეზი ის იყო, რომ ისლამამდელ არაბეთში, უმეცრების ხანის ლექსები, მუსიკა და მხატვრობა სულ კერპებს ეძღვნებოდა. კერპთაყვანისმცემელი არაბები კერპებს ხატავდნენ და ლექსებით ხოტბას ასხამდნენ. გარდა ამისა ურწმუნოები შუამავლისა და ისლამის სახელის გასატეხად სწორედ ამ ხელოვნებას იყენებდნენ. იმდროინდელი არაბები ალკოჰოლიან სუფრებზეც ლექსებს ამბობდნენ და მღეროდნენ. ისლამმა აკრძალა ალკოჰოლი და კერპები და შესაბამისად მათთან დაკავშირებული ლექსებიც და მუსიკაც აიკრძალა. უნდა გავითვალისწინოთ, რომ მუსიკა, რომელიც აიკრძალა ურწმუნოებას, კერპებს, ალკოჰოლს და ამორალობას ეხებოდა. ამათ გარდა სხვა კატეგორიის მუსიკა არ აკრძალულა, თუმცა ზოგიერთმა სწავლულმა თავიანთ დასკვნებში აკრძალვის მასშტაბი გააფართოვეს და ძალიან მცირე გამონაკლისის გარდა მუსიკა სრულად აკრძალულად მიიჩნიეს. სწავლულთა მეორე ნაწილმა მუსიკის ერთი კატეგორია არამად ჩათვალა,

ხოლო შერებით მისაღები კატეგორია-მექრუჰად. მხოლოდ შეზღუდული სახის მუსიკა ჩაითვალა მისაღებად. იყვნენ მესამე კატეგორიის სწავლულებიც, რომლებმაც ზოგადად მუსიკა ნებადართულად ჩათვალეს და მხოლოდ იმ კატეგორიის მუსიკა მიიჩნიეს მიუღებლად, რომელიც რელიგიურად მიუღებელ ელემენტებს შეიცავდა.

აკრძალვის სხვა მიზეზი არსებობს?

რა თქმა უნდა არსებობს. როცა ადამიანი მუსიკისა და გართობის გამო მის ამქვეყნიურ და საიქიოსთან დაკავშირებულ ვალდებულებებს ივიწყებს, ეს მისაღები არ არის. ზოგადად, ნებისმიერი მუსიკა, თნდაც რელიგიურად მისაღები იყო, მისდამი ზედმეტი დამოკიდებულება მისაღები არ არის. ღმერთი ნებას გვრთავს ვისარგებლოთ მისი წყალობით, მაგრამ ზღვარსგადასულობას გვიკრძალავს. ამ მხრივ ჩვეულებრივი საკვებიც ამ წესის ფარგლებშია. ის ალალია, მაგრამ მისი განიავება და გადაჭარბება მისაღები არ არის. აქვე ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ის ადამიანები, რომლებსაც მუსიკა პროფესიად აქვთ ამ აკრძალვის ფარგლებშ არ მოიაზრებიან. ისინი სხვებთან შედარებით შეიძლება კონკრეტული ხელოვნებით უფრო მეტად იყვნენ

დაკავებული. თუმცა აქ გასათვალისწინებელია, რომ მათმა პროფესიამ და მუსიკით დაკავებულობამ ღვთისმსახურება და სხვა რელიგიური ვალდებულებები არ უნდა დაავიწყოს.

ჩვენი მუსიკა რელიგიურად და არარელიგიურად შეიძლება რომ დავყოთ?

შუამავალი ბრძანებდა, რომ ნიშნობა დაფდაფების დაკვრით უნდა გახმოვანდეს. ქორწილსა და დღესასწაულებზე დაკრული მუსიკა რელიგიური არ გახლავთ. არარელიგიური მუსიკა არ ნიშნავს, რომ ის რელიგიურად აკრძალულია. ეს არის მუსიკა, რომელიც რელიგიურად მიღებულია და უფრო მეტიც, რელიგიურად მოწონებულიცაა. შუამავლის მიერ მოწონებული მუსიკა ბუნებრივია აკრძალული არ არის. ჩვეულებრივი მუსიკა, რომელიც რელიგიურ ჩარჩოებში ჯდება მისაღებია.

რელიგიური მუსიკის ხსენებისას რას ვგულისხმობთ, შეგიძლიათ აგვიხსნათ?

რელიგიურ წყაროდ მიჩნეულ ნაწარმოებებში ტერმინი მუსიკა ღვთისადმი სადიდებელის ლამაზად თქმას გულისხ-

მობს. ჰადისშიც ნაბრძანებია, რომ ყურანი ლამაზი ხმით უნდა ვიკითხოთ. ყურანის ლამაზად წაკითხვაც, თუ შეიძლება ითქვას, ერთგვარი რელიგიური მუსიკაა. ებუ მუსა ელ აშარი ყურანს ძალიან ლამაზი ხმით კითხულობდა. შუამავალმა მოუწონა და შეაქო კიდეც. შუამავალმა აბდულლაჰ ბინ მესუდს სთხოვა ყურანი წაეკითხა. აბდულლაჰმა წაიკითხა და შუამავალმა შეაქო. აბდულლაჰს უთქვამს, ყურანი შენ მოგევლინა და მე შენს წინაშე როგორ უნდა ვიკითხოო. შუამავალს კი უბრძანებია, რომ მას მისი წაკითხული ყურანის მოსმენა სიამოვნებდა.

ყურანის სწორად წაკითხვა ძალიან მნიშვნელოვანია. ასევე მნიშვნელოვანია მისი ლამაზად წაკითხვა. მოსმენისას ადამიანი განსაკუთრებულ სულიერ აღმაფრენას გრძნობს.

რელიგიური მუსიკა მხოლოდ ეს არ არის ხომ?

რელიგიური მუსიკა რამოდენიმე მიმართულებისაა. არსებობს ღვთის სადიდებელი, მისი თვისებების, მისი წყალობის მიმართ მადლიერების გამომხატველი ლექსად დაწერილი ილაჰები. ასევე სხვა სახის ილაჰები,

რომლებიც ეხება შუამავალს, მის დაბადებას, საიქიოს, სიკვდილ-სიცოცხლეს და სხვა. ამ სახის ლექსები ძირითადად თასავვუფში გვხვდება. სწორედ ეს არის თასავვუფის მუსიკა და მუსიკის ეს სახე რელიგიური მისიკის მნიშვნელოვანი შემადგენელია. თექბირებისა და სალავათის გარკვეული წესრიგისა და ჰარმონიის ფარგლებში წარმოთქმაც ერთგვარი რელიგიური მუსიკის სახეა. რელიგიური მუსიკის ერთ-ერთი ლამაზი მაგალითია ეზანი და სელა.

ზოგიერთი წყაროს მიხედვით ყურანისა და ეზნის ინტონაციით წაკითხვა მიღებული არ არის, ამაზე რას იტყოდით?

ყურანისა და ეზნის სიმღერასავით წაკითხვა არ შეიძლება, მაგრამ თუ ადამიანი თავისი ბუნებრივი ხმითა და ინტონაციით ყურანს ან ეზანს ლამაზად წაიკითხავს, ეს მისაღები და კარგია. სასახლის ჰაფიზი, უსკუდარელი ალი ეფენდი გვირჩევდა, რომ ყურანი ჩვენი ხმის შესაძლებლობების მიხედვით ლამაზად წაგვეკითხა.

რა განსხვავებაა თასავვუფის მუსიკასა და სხვა მუსიკას შორის?

განსხვავება შემდეგია: სუფისტები მიიჩნევენ, რომ ამგვარი ლექსები ადამიანის

სულის საზრდოა, ადამიანი ამ საზრდოს საშუალებით სულიერად იზრდება და ყალიბდება, იშორებს ცუდ ჩვევებს, იძენს მადალ ზნეობას და ღმერთს უფრო უახლოვდება. სუფები ამ „მუსიკის“ მოსმენისას განსაკუთრებულ მდგომარეობას განიცდიან. სემა, როგორც წესი თასავვუფის მნიშვნელოვანი ნაწილია.

დღეს, თანამედროვე მეჩეთებში მუსიკა რა ფორმით შეიძება იყოს?

დღეს, თანამედროვე იმამებმა და მუეზინებმა ყურანის ლამაზად კითხვას და ბგერების ჰარმონიულად თანწყობას ყურადღება უნდა მიაქციონ. მეჩეთებში ახალი და უცხო მუსიკალურობის შეტანა სახიფათოა, ამიტომ ტრადიციული ხმები და ინტონაციები უნდა დავიცვათ. ამგვარი სიახლეები სიკეთეს არ მოიტანს, მარა ზიანის მოტანა შეუძლიათ. ამგვარი სიახლეები, მიმბაძველობა ბიდათად მიიჩნევა და სახიფათო ელემენტების შემცველია.

ტრადიციული მუსიკალურობის განვითარებაში რას გულისხმობთ?

ჩვენ გვაქვს ყურანისა და ეზნის კითხვის ტრადიცია. ამას „სტამბოლურ სტილ-

საც“ ეძახიან. ეს ტრადიცია არ უნდა დაიკარგოს და სასურველ დონეზე შენარჩუნდეს.

ამ მიმართულებით მიმდინარე სამუშაოებს როგორ შეაფასებდით?

ღვთისმეტყველების ფაკულტეტის პროგრამაში რელიგიური მუსიკის გაკვეთილები არის ჩადებული. ეს კარგი რამაა. ამ მიმართულებით საკმაოდ კარგი მცდელობა აქვს რელიგიის სამინისტროსაც. ეწყობა ყურანის კითხვის კონკურსები და გამარჯვებულებს აჯილდოვებენ. გარდა ამისა რელიგიის სამინისტრო ახალგაზრდა იმამებს სწორად და ლამაზად კითხვაში გამოცდებს უტარებს და ამის შემდეგ სხვადასხვა მეჩეთებში მიავლენს ხოლმე. ამრიგად ქალაქში ეზნის ხმები ჰარმონიულადაა შეხამებული.

დღეს არსებული რელიგიური მუსიკის პოპულარულ ვერსიებზე რა აზრის ხართ?

პოპულარული კულტურა კულტურის ყველა სფეროზე მოქმედებს. ჩემი აზრით ამ მიმართულებით ცოტა მეტი სიფრთხი-

ლე და ტრადიციის შენარჩუნებაა საჭირო. ღვთისმსახურებასა და მასთან დაკავშირებულ საკითხებში მეტი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ თასავვუფში ახალი რელიგიური ლექსები არ დაიწეროს და ახალი რამეები არ შეიქმნას.

მე რელიგიური მუსიკის ანალიტიკოსი არ გახლავართ, ეს ცალკე სფერაა. მე უფრო რელიგიური დებულებების მიმართულებით ვმუშაობ. შესაბამისად ამ სფეროზე პროფესიონალებმა უნდა ისაუბრონ. უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ტექნოლოგიებმა, რადიო იქნება, ტელევიზია, ინტერნეტი თუ სხვა, მუსიკის ფართოდ გავრცელება უზრუნველყო. მუსიკა რელიგიური იქნება თუ არარელიგიური ტრადიციები არ უნდა დავივიწყოთ და უნდა განვავითაროთ. ასევე უნდა ვეცადოთ, რომ უცხოური მუსიკის გავლენებისგან დავიცვათ. საკუთარი ხელოვნებისა და კულტურის განვითარებამდე სვისი კულტურისა და ხელოვნების ძაგება უსარგებლოა.

მუსიკა ცივილიზაციის მაჩვენებელია

ფროფესორი ჰუსრევ ჰათემი

ჩვენი მუსიკა თქვენს ცხოვრებასა და აზროვნებაში რა განწყობებს იწვევს?

თურქული მუსიკის მიმართ ჩემი პირველი დამოკიდებულება 1944 წელს გაჩნდა, მაგრამ მუსიკასთან ჩემი დაახლოება მოგვიანებით, 1950 წელს „მსმენელთა სურვილების პროგრამით“ დაიწყო. 1953 წელს უნივერსიტეტის ორკესტრში კლასიკურ მუსიკას ვეზიარე. იმავე წელს გავიაზრე, რომ ხალხური მუსიკა უფრო განსხვავებულ ეფექტს ტოვებდა ჩემზე. დასავლური კლასიკური მუსიკის სიყვარული 1956 წელს დავიწყე. ჩვენი მუსიკა ჩემზე მთელი ჩვენი ისტორიის გამოძახილია.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი მუსიკა და რა კავშირი აქვს მუსიკას ცივილიზაციასთან?

მუსიკა ცივილიზაციის მაჩვენებელია.

ცივილიზაციისა და განვითარების მაჩვენებელი წარმოება კი არა, მუსიკა, ხელოვნება და ფილოსოფიაა. მხოლოდ ცოდნაც არ კმარა.

მეჩეთებში რელიგიური მუსიკალურობის ხელახლა გასაცოცხლებლად რა უნდა მოვიმოქმედოთ?

ჩემი სარით მეჩეთებში მხოლოდ ილაჰი და მევლუდი უნდა იკითხებოდეს. ინსტრუმენტული მუსიკა მეჩეთში არ უნდა შევიდეს. თასავვუფის მუსიკაც რედიოში, ტელევიზიაში და ინტერნეტში მოვისმინოთ.

ჩვენი მუსიკის ისტორიაში ვის გაიხსენებდით, რომელბმაც თავი დაგამახსოვრეს?

ნეჯდეთ იაშარი, ალაედდინ იავაშჯა, ნიაზი საიმი და კიდევ ასე 15-20-მდე პიროვნება, რომლებსაც ხალგრძლივ სიცოცხლეს ვუსურვებ.

აქვე მახსენდება ერთი ამბავი. ექვსი წლის წინ ფლორიდაში, დისნეილენდის პავილიონში, ერთ-ერთ რესტორანში თანბური ჯემილ ბეის მიერ დაწერილი მუსი-

კალური ნომერი მომესმა. მაშინვე შესაბამის პავილიონთან მივედი და ვკითხე ვისი ნაწარმოებია-მეთქი. მაშნევ მიპასუხეს რომ ეს იყო თანბური ჯემილ ბეის ნაწარმოები. იმ რესტორანშ ასზე მეტი ადამიანი ვიყავით, მაგრამ წამყვანს შეენიშნა, რომ 15 კაცი თურქული ჯგუფი ვიყავით და ამიტომაც ჩაერთო.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia international charity

ყველაზე თურქული მუსიკის ყველაზე გამორჩეული ნიმუშები რელიგიურ სფეროშია შექმნილი

პროფ. ალეადდინ იავაშჩა

თურქული მუსიკა თქვენს ცხოვრებასა და აზროვნებაში რა განწყობებს ბადებს?

მუსიკა ჩემს ცხოვრებაში ჯერ კიდევ 8 წლის ასაკში შემოვიდა. დავიბადე ქილისში, 1926 წელს. დაწყებით სკოლაში სწავლისას, მამას ერთი მეგობარი ჰყავდა, ჩემი ბიოლოგიისა და იმავდროულად მუსიკის მასწავლებელი, რომელიც საოცრად უკრავდა ვიოლინოზე და ჩვენ მასთან ხშირად დავდიოდით. ყოველი ახალი სტუმრობისას მამა სულ ეკითხებოდა, რაიმე ახალი ხომ არ მოსულაო. ერთხელაც მან გვითხრა, რომ მუნირ ნურეთთინ ბეის ახალი ნაწარმოები მოვიდა. ეს იყო ე.წ. პლასტინკა, რომლის ერთ მხარეს სელიმ მესამის, ხოლო მეორე მხარეს შევქი ბეის ნაწარმოებები იყო ჩაწერილი. ყველამ ერთად მოვუსმინეთ. ყველას მოგვეწონა.

მამამ ჩემს მასწავლებელს უთხრა, რომ მე ამ ახალმოსმენილი ნაწარმოების შესრულებას შევძლებდი. მასწავლებელმა გაიკვირვა. მამამ თქვა, რომ ორჯერ მოსმენით მე დაზეპირება შემეძლო. მასწავლებელი დათანხმდა და მთხოვეს სელიმ მესამის ნაწარმოები წამეკითხა. წავიკითხა, მაგრამ რეაქცია არ ჰქონია. მე გულში ძალიან გავბრაზდი. ცოტა ხანი მამამ და მან კიდევ ისაუბრეს და დავიშალეთ. მეორე დღეს კარზე ვიღაცამ დააკაკუნა. გავიხედეთ და ვნახეთ ჩემი მასწავლებელი ზიჰნი ბეი. ხელში ვიოლინო და დიდი რვეული ეჭირა. რვეულს „შუბერტის მეთოდები“ ეწერა. ზიჰნი ბეი მომიბრუნდა და მითხრა, რომ ეგრე მოსმენით გაკეთება არ იყო საკმარისი და ამის შემდეგ ამ მეთოდით უნდა გვემუშავა. ჯერ ნოტების აღება ისწავლე და მერე ამ ვიოლინოს შენ გაჩუქებო, მითხრა. ვისწავლე ნოტები და ვიოლინოს დაკვრა დავიწყე. ასე დავიწყე მუსიკასთან ურთიერთობა. სსაშუალო სკოლაში სწავლისას ქონიის სკოლა-ინტერნატში წავედი. მეორე წელს გავცივდი და ავად გავხდი. იმ წელს ვეღარ ვისწავლე. შემდეგ სტამბოლში გამგზავნეს. სტამბოლში სწავლისას ჩემი მასწავლებელი ჰაკკი სუჰა გეზგინი იყო. მისი საშუალებით გავიცანი ართაქი ჯანდანიც. ამ პერიოდში საზის დაკვრით დავინტერესდი. შევხვდი და მოწაფეობის პატივი მერგო ისეთი პრო-

ფესიონალების, როგორებიც იყვნენ ჰუსეინ საადეთთინ ბეი, საადეთთინ კაინაკ ბეი, ზექი არიფ ბეიექრემ ქარადენიზ ბეი და სხვები. ღმერთმა გაანათლოს თითოეული მათგანის სული. მონაწილეობა მივიღე უნივერსიტეტის ორკესტრის ჩამოყალიბებაში, რომელიც ერჯუმეთ ბერქერმა ჩამოაყალიბა. სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის კონსერვატორიის დამაარსებელი შვიდი ადამიანიდან მხოლოდ მე დავრჩი. ერჯუმენთ ბერქერი სულ ცოტა ხნის წინ გარდაიცვალა. ჩვენ თურქული მუსიკის განვითარების გზაზე 1946 წლიდან 1976 წლამდე ბევრი პრობლემა შეგვხვდა. 1976 წელს ნიშანთაშში პრემიერისა და განათლების სამინისტროს მხარდაჭერით სკოლა დავაარსეთ. ეს სკოლა მოგვიანებით ტექნიკურ უნივერსიტეტს დაუქვემდებარეს. 1983 წელს სკოლიდან წამოვედი. იმ პერიოდში ჰასექის საავადმყოფოს მთავარი ექიმის მოვალეობის შესრულება დავიწყე. 2005 წლამდე ამ პოზიციაზე ვმუშაობდი, ხოლო შემდეგ ასაკის გამო დამსახურებულ პენსიაზე გავედი. შემდეგ ჰალიჩის უნივერსიტეტში მიმიწვიეს და მას შემდეგ აქ ვარ.

რელიგიური მუსიკის შესწავლაში თქვენს ოჯახსაც დიდი წვლილი აქვს შე-

ტანილი. შეგიძლიათ ცოტა რამ ამის შესახებაც გვითხრათ?

მამა ყოველი დილის ლოცვის შემდეგ ტახტის კუთხეშ დაჯდებოდა და ხმამაღლა ყურანს კითხულობდა. ეს ჩემს გონებაში იმდენად კარგად ჯდებოდა, რომ ყურანის ბევრი სურა ზეპირად დავისწავლე. დღესაც კი ის სურები ზეპირად ვიცი. მამაჩემი ჰაფიზი იყო და ძალიან ლამაზი ხმა ჰქონდა. ყოველ დილით ადრე, როცა მამა ყურანს კითხულობდა, გარეთ ჩიტების ჭიკჭიკი ისმოდა. ეს მომენტი ჩემზე ძალიან ამაღელვებლად მოქმედებდა. ეს ხანდახან კი არა, ყოველდღე ასე ხდებოდა. ჩვენი სახლი მეჩეთის გვერდით იყო. ეს იყო ჯანბოლათის მეჩეთი, რომელიც არქიტექტორ სინანის მსახურმა ააშენა. პარასკევობით მლოცველები მეჩეთში ვერ ეტეოდნენ და გარეთ დგებოდნენ. მე და ჩემი დეიდაშვილი ამ დროს ფანჯრებს ვაღებდით და ვუყურებდით. ახლა ის სახლი იმ საქველმოქმედო ორგანიზაციას გადავეცი, რომელიც ღარიბებს ეხმარება. მამას მზის საათი ჰქონდა. ბრტყელ ფიცარზე ხაზები ჰქონდა დახატული და შუაში კი ლურსმანი იყო დაჭედებული. მზის შუქის მოძრაობით მამა ნამაზის დროებს ადგენდა. მეჩეთის მუზინიც კი მამას ეძახდა და ნამაზის დროს გებულობდა. აი ასეთ სულიერ ატმოსფეროში გავიზარდე.

რელიგიური მუსიკის კონტექსტში „მეჩეთის მუსიკას“ რომ ახსენებენ, აქედან რა უნდა გავიგოთ?

კლასიკური თურქული მუსიკის ყველაზე გამორჩეული ნიმუშები სწორედ რელიგიური მუსიკაა. რელიგიური მუსიკის მასაზრდოებელი კი მეჩეთებში მიმდინარე ყურანის, ეზნის, მევლუდის, ილაჰების და სხვათა კითხვაა. რელიგიური მუსიკის განვითარებაში დიდი ადგილი უჭრავს ე.წ. თექქეს მუსიკას. დრეს ამ ნიმუშების უმეტესობა, სამწუხაროდ დაკარგულია და მათი ხელახლა აღდგენაა საჭირო.

ვინ იყვნენ ის გამორჩეული ადამიანები, რომლებსაც რელიგიური მუსიკის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს? უკანასკნელ წლებში, თუნდაც სტამბოლში ჰაფიზების ან სხვების მოსმენისას ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათ?

რელიგიური მუსიკის სფეროში მეოცე საუკუნის გამორჩეულ ჰაფიზთაგან შემდეგი სახელების ჩამოთვლა შემიძლია: შეჰლა ოსმანი, სამი, დელი ჰუსეინი, ქემალი, სულთანახმედის მეჩეთის იმამი ჰაფიზი იდრისი, სულთანახმედისა და სულთანსელიმის მეჩეთების იმამი საადეთთინ კაი-

ნაკი, ჰაფიზი ფაჰრი, ჰაფიზი ალი ეფენდი, ბეიაზითის მეჩეთის იმამი ჰაფიზი აბდურრაჰმან ეფენდი, ჰაფიზი ქანი ქარაჯა და სხვები.

ის დღეები მახსენდება, როცა სახლებში ვიკრიბებოდით. ერთ დროს იბნულ ემინ ბეის სახლში ვიკრიბებოდით და ნაწარმოებებს განვიხილავდით. მერე ჩემს სახლშიც მოდიოდნენ ისეთი სახეები, როგორებიც იყვნენ ამირ ათეში, ფევზი მისირი, ისმაილ ბიჩერი, ქანი ქარაჯა, ადემ ერიმი და სხვები. რა სილამაზე იყო. დღეს ეს ყველაფერი სამწუხაროდ დაიკარგა.

muslimgeorgia
muslim georgia foundation
muslim international charity
muslim georgia

ყოველი ეპოქის ლექსები განსხვავებული სილამაზის და პარმონიის მაცალებელი იყო

ამირ ათეშ

თურქული მუსიკა თქვენს ცხოვრებასა და აზროვნებაში რა განწყობებს ბადებს?

ჩემს წარმოდგენაში მუსიკა დედამიწის გაჩენის დღიდან არსებული ჩიტების ჭიკ-ჭიკი, ქარის ქროლის ხმა, ნაკადულის ჩუხ-ჩუხი და სამყაროში არსებული ყველაფრის ხმაა. ეს არის ყველაზე ლამაზი, ყველაზე ჰარმონიული რამ. ჯერ კიდევ იქიდან დაწ-ყებული, როდესაც ღმერთმა ჩვენს სულებს მიმართა და მათ უპასუხეს: „ელესთუ ბი რაბბიქუმ“. ამის აღწერა შეუძლებელია. ეს სულ სხვა გრძნობაა.

რა მდგომარეობაშია დღეს ჩვენი რელი-გიური მუსიკა?

პესიმისტი არასოდეს ვყოფილვარ, მაგ-

რამ ახლა ვერ ვიტყვი,რომ ყველაფერი უკეთესობისკენ მიდის. მუსიკა მეცნიერების ერთ-ერთი სფეროა. მეცნიერება, ცოდნა კი უსაზღვროა. ამიტომ დღეს როცა ამბობენ, რომ ახალი ნაწარმოებები აღარ შეიქმნება, მე ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. თუ მუსიკა მეცნიერებაა, მისი შესწავლის ნებისმიერ საფეხურზე ახალი მუსიკის შექმნაა შესაძლებელი. ბუნებრივია ახლანდელი ნაწარმოებები წარსულისგან განსხვავებული უნდა იყოს. აქვე ისიც უნდა აღნიშნოს, რომ ბევრის წერა, ბევრი ნაწარმოების შექმნა წარმატებას არ ნიშნავს. კომპოზიტორმა ყველაზე ლამაზი სიტყვები ყველაზე ლამაზ მუსიკას უნდა შეუხამოს და ხალხს წარუდგინოს. მაგალითად საადეთთინ კაინაკი, დედე ეფენდი, სელაჰათთინ ფინარი, ითრი და მსგავსი ხელოვანები თავიანთი შექმნილი მუსიკით სულ სხვა დონეზე იყვნენ. დღესაც ჩვენს კონსერვატორიებშ და მუსიკალურ საზოგადოებაში ძალიან ნიჭიერი თაობა იზრდება.

მეჩეთებში რელიგიური მუსიკალურობის ხელახლა გასაცოცხლებლად რა უნდა მოვიმოქმედოთ?

„მეჩეთის მუსიკის“ ხსენებაზე უპირველეს ყოვლისა მევლუდი გვახსენდება, რო-

მელიც სამწუხაროდ დავიწყების პირასაა. მისი წამკითხველიც ცოტა დარჩა და წაკითხვის მსურველიც. რელიგიური მუსიკის თემა საფუძვლიანად შესწავლის თემაა. ჩვენ ვიყავით ის ადამიანები, რომლებმაც რელიგიის სამინისტროში დავაყენეთ საკითხი ეზნის ლამაზად და ინტონაციასთან შესადამისად კთხვის საკითხი და საამისოდ საკმაო მუშაობაც გავწიეთ. დღეს ილაჰების, ქსიდებისა და სხვა საღვთო სადიდებლების კითხვის ფორმები ხელახლა გადახედვისა და განხილვის საგანი უნდა გახდეს. უიმედობის დრო არ არის. ჩვენ ეს პროცესი წამოვიწყეთ. შეიძლება საკმარისი არ იყოს, მაგრამ გრძელდება. მუსიკა ეს არ არის გართობა. ის სილამაზეა, ესთეტიკური მოთხოვნილებაა.

ვინ იყვნენ ის გამორჩეული ადამიანები, რომლებსაც რელიგიური მუსიკის შესრულებაში დიდი წვლილი შეიტანეს? უკანასკნელ წლებში, თუნდაც სტამბოლში ჰაფიზების ან სხვების მოსმენისას ყველაზე მეტად ვინ დაგამახსოვრდათ?

ამ შეკითხვამ 60 წლის წინ დამაბრუნა. ჩემი მუსიკალურ ხელოვნებასთან გაცნობა რელიგიასთან ერთად მოხდა. ჩემს სოფელში ლამაზი ხმით ყურანის კითხვა,

მევლუდის ლამაზად შესრულება და საერთოდ ლამაზხმიანი სიმღერები ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მეც ბავშვობიდანვე ოცნებად მქონდა, სტამბოლშ წავსულიყავი და რადიოში ყურანი წამეკითხა, მევლუდი და ილაჰი შემესრულებინა. თუ ადამიანი ოცნებებს დაისახავს და ამ ოცნებების ასრულებისთვის იშრომებს, აუცილებლად მიაღწევს. როგორც კი ჰაფიზი გავხდი სტამბოლში ჩამოვედი და ყურანისა და მევლუდის კითხვა დავიწყე. მყავდა ისეთი ცნობილი მასწავლებლები, როგორებიც იყვნენ ჰაფიზი მეჯიდ სესიგური, ჰაფიზი ესათ გერედელი, ჰაფიზი საადეთთინ კაინაკი, ქემალ აქქუში და სხვები. ამათ გარდა ქანი ქარაჯა იმ პერიოდის ყველაზე ცნობადი სახე იყო. ის იყო ჰაფიზი, მუსიკოსი და უბადლო შემსრულებელი. და კიდევ ბევრი სხვა ცნობილი ადამიანი, ღმერთმა აცხონოს ისინი.

ჩვენი რელიგიური მუსიკალური კულტურა მსოფლიოს ყველაზე მდიდარი მუსიკალური კულტურის ნაწილია

მუზაფფერ შენდურანი

რა არის რელიგიური მუსიკა? რა კავშირი აქვთ რელიგიასა და მუსიკას?

რელიგიურ მუსიკაზე საუბრისას უმეტესწილად ეს შეკითხვები ისმის: რა ადგილი უჭირავს რელიგიაში მუსიკას? მუსიკაში რა ადგილი უჭირავს რელიგიას და ა.შ. ნებისმიერ სარწმუნოებაშ ასეა. ყველა რელიგია მუსიკასთან ახლო კავშირშია და ასეა მუსიკაც. თურქების შემთხვევაში მათი მათი რელიგიის მუსიკასთან დაკავშირება ისლამის მიღებამდე ადრეულ ხანას უკავშირდება. ისლამის მიღების შემდეგ თურქულმა რელიგიურმა სამუსიკო ხელოვნებამ ახალი გასაქანი ჰპოვა და განვითარდა. ამრიგად ის მსოფლიოს ყვე-

ლაზე მდიდარი რელიგიური კულტურის ნაწილი გახდა.

რა არის ჩვენი რელიგიური მუსიკის ძირითადი წყარო?

არსებობს რელიგიური მუსიკის ორი ძირითადი წყარო; ერთია მეჩეთის ხოლო მეორე თექქეს მუსიკა. თექქეს მუსიკის ფუძემდებლები ისტორიულად ცნობილი „მევლევები“ არიან. რაც შეეხება მეჩეთის მუსიკას, აქ არის ყურანის კითხვა, ეზანი, მევლუდი, ილაჰი, სალათი და სხვა ღვთის სადიდებლები.

ეზნის კითხვისას ინტონაცია რატომაა ასეთი მნიშვნელოვანი?

ცნობილი საადეთთინ კაინაკის მოსწავლე, ტაჰირ ქარაგოზი რელიგიურ და არარელიგიური მუსიკის სფეროებში განსწავლული პროფესიონალი იყო. ის ეზნის კითხვის საოცარ უნარსა და ხელოვნებას ფლობდა. ის დიდ მნიშნელობას ანიჭებდა ეზნის დროს ინტონაციის სწორად გამოყენებას. ის თითოეული დროის ნამაზის ეზნებს სხვადასხვა ინტონაციით კითხულობდა.

რელიგიის სამინისტროს ინიციატივით სხვადასხვა ცნობილი შემსრულებლების ეზნის ნიმუშები უკვე ჩაწერილია და ეს ნიმუშები გაამრავლეს. დღეს ამ ნიმუშებიდან სარგებლობაა შესაძლებელი. ჩვენი იმემები და მუაზინები საკმაოდ კარგ განათლებას იღებენ და ამავდროულად ისინი ყურანისა და ეზნის ოსტატურად და ლამაზად შესრულებასაც სწავლობენ.

რა არის რელიგიური მუსიკის ტექნიკური თვისებები, შეგიძლიათ მოკლედ გვითხრათ?

თექქეს მუსიკის ერთ-ერთი შემადგენელი მევლევის რეპერტუარია, რომელიც მუსიაკურ ფორმებში ყველაზე გამორჩეული იყო. აღნიშნული მიმდინარეობა როგორც რელიგიურ, ისე არარელიგიურ მუსიკალურ ფორმებში გამორჩეულ ადგილს იკავებს. ნაწარმოებებისთვის გამოყენებული ინტონაცია და მუსიკა დიდი სიფაქიზით იყო შერჩეული.

რელიგიური მუსიკის მიმდევართა დიდი უმრავლესობა იმავდროულად ჰაფიზი იყო, რაც ყურადსაღები მოვლენაა.

რელიგიურ მუსიკაზე საუბრისას უდავოდ გამორჩეული პიროვნებები იყვნენ აბ-

დულყადირ მერაგი, ბუჰურიზადე მუსტაფა, ითრი, ჰამმამიზადე ისმაილ დედე, ზექაი დედე ეფენდიჰაფიზ ფოსტი, ფაფიზ ბურჰანი, ჰაფიზი საადეთთინ კაინაკი და სხვები. ამ სფეროში ბევრი ძალიან ცნობილი და გამორჩეული პიროვნება მოღვაწეობდა.

სილამაზის ძიება, სილამაზის მიგნება, სილამაზესთან დაკავშირება, სულიერი სიღრმე... ეს ყველაფერი რელიგიური მუსიკის მეოხებითაა შესაძლებელი. რელიგიურ მუსიკაში გამოყენებული ფორმები მსმენელზე დიდ შთაბეჭდილებას ტოვებს. ამ სფეროში მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი საზია. შეგიძლიათ „ნეი“-ზე გვესაუბროთ?

ნეი ჩვენი მუსიკალური კულტურის მნიშვნელოვანი შემადგენელია. მისი ხმა ადამიანში ყველაზე მისტიკურ გრძნობებს აღძრავს. ამასთან დაკავშირებით ჩემთვის ძალიან ძვირფასი მოგონება მაკავშირებს, რომელიც მინდა მკითხველს გავუზიარო. ამერიკის შეერთებულ შტატებში, სან დიაგოს უნივერსიტეტში თასავვუფის მუსიკის კონცერტი გვქონდა. ამ უნივერსიტეტში მუშაობდა პროფესორი სკატი, რომელმაც კონცერტის შემდეგ ხელში დაწერილი ფირცელი ჩამიდო. იმ ფურცელზე შემდეგი რამ ეწერა: „ამ საზის მოსმენისას თა-

ვი სამოთხეში ვიგრძენი“. ამას ქრისტიანი ადამიანი წერდა. წარმოიდგინეთ რელიგიური მუსიკა, რომელიც სხვა რელიგიის წარმომადგენლებსაც კი სამოთხეში აგრძნობინებს თავს. არსებობს ამ სახეობის ინსტრუმენტის მრავალი სახეობა.

muslim georgia
muslim georgia foundation
muslim georgia
muslim international charity